თანხმობა

მე, შპს „ენთები“ (ს/ნ: 406148734), წარმოდგენილი მისი დირექტორის დიმიტრი ბასილაშვილის (პ/ნ: 01027046085) სახით, როგორც მიწის ნაკვეთის, მდებარე ქ. თბილისი, სოფელი თხინვალა, ს/კ: 72.16.33.083, 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 400 კვ.მ. ფართის მესაკუთრე (საკუთრება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში აზომვითი ნახაზის შესაბამისად, ნაკვეთი #2 (43)) თანახმაა, ჩემი დამატებითი თანხმობის გარეშე, ამავე მიწის ნაკვეთის მეორე ნაწილის 400 კვ.მ. ფართის (ნაკვეთი #1 (43ა)) მესაკუთრემ, ან/და წარმომადგენელმა/მინდობილმა პირმა, ან/და უფლებამონაცვლემ, ან/და შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა,

მის საკუთრებაში არსებული წილი/ფართი ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირზე გაასხვისოს, გაყიდოს, გააჩუქოს, გაცვალოს, ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირის სასარგებლოდ სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთოს იპოთეკით, ან/და ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ სხვა ნებისმიერი ვალდებულებით, ან/და განახორციელოს ცვლილება, ან/და მოხსნას/გააუქმოს ისინი.

მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად, შეათანხმოს პროექტი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურთან და აიღოს მშენებლობის ნებართვა ამ ტერიტორიაზე დამტკიცებული გრგ-ის ფარგლებში, ისე, რომ მის საკუთრებაში არსებულ ფართზე (400 კვ.მ.-ზე, ნაკვეთი #1) კ1 კოეფიციენტის ფარგლებში აითვისოს არაუმეტეს 216 კვ.მ., ხოლო კ2 კოეფიციენტის ფარგლებში, არაუმეტეს 336 კვ.მ. და დააკმაყოფილოს კ3 კოეფიციენტი არანაკლებ - 176 კვ.მ. და დაიცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული მიჯნები ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (400 კვ.მ., ნაკვეთი #2) წარმოსახვითი სამეზობლო საზღვრიდან. აღნიშნულისთვის განახორციელოს ყველა საჭირო ქმედება შესაბამის სახელმწიფო (მათ შორის: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები, საქალაქო სამსახურები, როგორიცაა, მაგ.: ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური და ა.შ., ქ. თბილისის საკრებულო და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო, საჯარო რეესტრის სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და ა.შ.) და კერძო სტრუქტურებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

განახორციელოს ყველანაირი სხვა ქმედება, რაც საჭიროა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის განკარგვისთვის.

წინამდებარე თანხმობა გაცემულია უვადოდ, ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთან, სახელმწიფო, თუ კერძო დაწესებულებაში (მათ შორის იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ. თბილისის თვითმმართველ ორგანოებში, მერიაში, საკრებულოში, შსს-ში, საქართველოში მოქმედ ნებისმიერ ბანკში და ა.შ.) წარსადგენად.

ხელმოწერა

შპს „ენთები“ (ს/ნ: 406148734)

დირექტორი: დიმიტრი ბასილაშვილი

/ 24.12.2021 /

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211432955
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.12.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო უბერი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47 (ნაკვ. 35/4), მეორე სართული, ოთახი №214,
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(995) 599 77 28 77
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	60041851836621

მე, საქართველოს ნოტარიუსი ნინო უბერი, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47 (ნაკვ. 35/4), მეორე სართული, ოთახი №214, ვამოწმებ სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირის: დიმიტრი ბასილაშვილის (დაბადებული:28.12.1988წ. პირადი №01027046085, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, ახმეტის ქუჩა, N 1ა) ხელის მოწერის ნამდვილობას მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე:თანხმობა. ხელმოწერა დოკუმენტზე შესრულებულია ხელმომწერის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით, მას შემდეგ რაც მას განემარტა ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის შინაარსისა და მასში წარმოდგენილი ფაქტების დადასტურებას.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 31-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, სამი ეგზემპლარისთვის გადახდილია სანოტარო საზღაური 6.00 (სამი) ლარი, დღგ: 1.08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი _ ჯამში: 9.08 (ცხრა ლარი და რვა თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო უბერი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შპს „ენთების“ (ს/ნ: 406148734) პარტნიორთა კრების ოქმი

ქ. თბილისი **24.12.2021**

კრებას ესწრებოდნენ: შპს “ენთების“ (ს/ნ: 406148734) დამფუძნებელი პარტნიორები:

33.34 %-იანი წილის მფლობელი პარტნიორი - დიმიტრი ბასილაშვილი (პ/ნ: 01027046085)

33.33 %-იანი წილის მფლობელი პარტნიორი - ნიკა წიკლაური (პ/ნ: 01005019083)

33.33 %-იანი წილის მფლობელი პარტნიორი - ნიკოლოზ მჭედლიშვილი (პ/ნ: 01019048873)

კრება გადაწყვეტილებაუნარიანია.

დღის წესრიგი:

შპს „ენთების“ დირექტორისთვის დიმიტრი ბასილაშვილისთვის შპს „ენთების“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების, მდებარე: ქ. თბილისი, სოფელი თხინვალა, ს/კ: 72.16.33.083-დან ფართობი: 400 კვ.მ., ნაკვეთი #2 და ს/კ: 72.16.33.082, ფართობი: 800 კვ.მ. (ნაკვეთი #1 – 400 კვ.მ. და ნაკვეთი #2 – 400 კვ.მ.) განკარგვაზე უფლებამოსილების მინიჭება.

გადაწყვეტილება:

1. შპს “ენთების“ (ს/ნ: 406148734) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მდებარე: ქ. თბილისი, სოფელი თხინვალა, ს/კ: 72.16.33.083-დან ფართობი: 400 კვ.მ., ნაკვეთი #2 და ს/კ: 72.16.33.082, ფართობი: 800 კვ.მ. (ნაკვეთი #1 – 400 კვ.მ. და ნაკვეთი #2 – 400 კვ.მ.) განკარგვის უფლებამოსილება მიენიჭოს დიმიტრი ბასილაშვილს. უფლებამოსილების ფარგლებში გააფორმოს ხელშეკრულება, შეთანხმება, ყველა საჭირო დოკუმენტაცია, თავად განსაზღვროს პირობები, ჩააბაროს სარეგისტრაციოდ შესაბამის ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებთან, შეცვალოს, ანდა გააუქმოს ისინი, ხელი მოაწეროს მათ. გამოითხოვოს, მიიღოს ან/და გასცეს ინფორმაცია, ან/და დოკუმენტაცია. ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირზე გასცეს მინდობილობები, თანხმობები (მათ შორის: აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე გრგ-ის ცვილებასთან, ასევე, კომუნიკაციის: ელ-ენერგია, ბუნებრივი აირი, სასმელი წყალი, კანალიზაცია და ა.შ. ქსელების გაყვანასთან და აბონირებასთან დაკავშირებით, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტის შეთანხმებასთან, მშენებლობის ნებართვის აღებასთან და მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებით); ასევე, გასცეს თანხმობები, როგორც წილის უპირატესი შესყიდვის უფლების მქონემ, ს/კ: 72.16.33.083 მიწის ნაკვეთის მეორე ნაწილის 400 კვ.მ. ფართობის ნაკვეთი #1-ის გასხვისება ან/და განკარგვასთან დაკავშირებით, ასევე, აღნიშნულ ნაკვეთზე (ს/კ: 72.16.33.083, 400 კვ.მ., ნაკვეთი #1) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობასა და ამისთვის საჭირო პროცედურებზე (პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის აღება და ა.შ.)
ამ ოქმში აღნიშნულისთვის წარმოადგინოს შპს „ენთები“ ნებისმიერ სახელმწიფო, თუ კერძო დაწესებულებასთან, ფიზიკურ, ან/და იურიდიულ პირთან და განახორციელოს ამ ოქმში აღნიშნულისთვის ყველა საჭირო ქმედება.

ხელმოწერები:

დიმიტრი ბასილაშვილი (პ/ნ: 01027046085) დიმიტრი ბასილაშვილი

ნიკა წიკლაური (პ/ნ: 01005019083) ნიკა წიკლაური

ნიკოლოზ მჭედლიშვილი (პ/ნ: 01019048873) ნიკოლოზ მჭედლიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211433126
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	24.12.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნინო უბერი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47 (ნაკვ. 35/4), მეორე სართული, ოთახი №214,**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(995) 599 77 28 77
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	46678837339821

მე, საქართველოს ნოტარიუსი ნინო უბერი, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47 (ნაკვ. 35/4), მეორე სართული, ოთახი №214, ვამოწმებ სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირების: დიმიტრი ბასილაშვილის (დაბადებული:28.12.1988წ. პირადი №01027046085, რეგისტრირებული მისამართი:ქალაქი თბილისი, ახმეტის ქუჩა, N 1ა), ნიკა წიკლაურის (დაბადებული:02.12.1989წ. პირადი №01005019083, რეგისტრირებული მისამართი: ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 38, ბინა 74) და ნიკოლოზ მჭედლიშვილის (დაბადებული:27.02.1989წ. პირადი №01019048873, რეგისტრირებული მისამართი:ქალაქი თბილისი ივანე ჯავახიშვილის ქ. N 83/5 ბ. 8) ხელის მოწერის ნამდვილობას მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე: შპს „ენთების“ (ს/ნ: 406148734) პარტნიორთა კრების ოქმი. ხელმოწერა დოკუმენტზე შესრულებულია ხელმომწერების მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით, მას შემდეგ რაც მათ განემარტა ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის შინაარსისა და მასში წარმოდგენილი ფაქტების დადასტურებას.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, 31-ე და 39-ე მუხლებისა და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, ორი ეგზემპლარისთვის გადახდილია სანოტარო საზღაური 12.00 (თორმეტი) ლარი, დღგ: 2.16 (ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი _ ჯამში: 16.16 (თექვსმეტი ლარი და თექვსმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი ნინო უბერი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18